ხელშეკრულება № 55
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № **CON150000077**)

ქ. თბილისი 11 თებერვალი 2016 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (შემდგომში -შემსყიდველი), მისი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ილია ტარასაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ესაბი" მისი დირექტორის ზურაბ დარსაველიძის სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის,, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის #12 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2016 წელს სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის #2582 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" –კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველისათვის საჭირო 5 (ხუთი) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (შემდგომში - „სტანდარტული ლეპტოპი") შესყიდვა (CPV-30213100).

2.2. შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერილობა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5650,00 (ხუთ ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს.

3.2 ერთი ერთეული სტანდარტული ლეპტოპის ფასია 1130,00 (ერთი ათას ას ოცდაათი, 00) ლარი.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართის შესაბამისი სტანდარტული ლეპტოპის მიწოდება პირველი მოთხოვნიდან (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, აბუსერიძე–ტბელის 13 ან ჭავჭავაძის გამზ 37დ.

4.1.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული ტექნიკის შეკეთება ან შეცვლა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შესყიდული სტანდარტული ლეპტოპის ტრანსპორტირებას, ასევე მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში სტანდარტული ლეპტოპის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4.1.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი შემსყიდველის შემდეგმა წარმომადგენელმა: ოპერატიული–ტექნიკური დეპარტამენტის II სამმართველოს VI განყოფილების უფროსი ვასილ ბედიაშვილი.
4.2.2 უზრუნველყოს მიმწოდებლისგან შესყიდული ლეპტოპის ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით.
4.2.3 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ამ ხელშეკრულების 8.2 პუნქტის შესაბამისად.
4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართში აღნიშნული მაჩვენებლების.
5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.
5.3 საგარანტიო სერვისის მისაღებად შემსყიდველს შეუძლია მიმართოს შემდეგ ავტორიზებულ სერვის ცენტრებს:
თბილისი – შპს Servisa ICT . ვაჟა–ფშაველას გამზ 96. ტელ 2 94 54 39
თელავი – სს ელიტ ელექტრონიქსი. აღმაშენებლისა და ალაზანის ქუჩების გადაკვეთა, ტელ 577 298 047
ქუთაისი – სს ელიტ ელექტრონიქსი. გამსახურდიას გამზ #5. ტელ : 577 298 939
ბათუმი – სს ელიტ ელექტრონიქსი. ა. აბაშიძის ჩიხი #2. ტელ: 577 710 164
გორი – სს ელიტ ელექტრონიქსი. გურამიშვილის #71. ტელ: 599 84 44 55

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 შემსყიდველის შესაბამისმა წარმომადგენელმა (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) საქონლის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

7 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11-ე მუხლის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.4 მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე დამრღვევ მხარეს აძლევს 15 დღიან დამატებით ვადას. იმ შემთხვევაში თუ დამატებით ვადაშიც ვერ მოხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მხარე უფლებამოსილია შეწყდეს ხელშეკრულება, ხოლო დამრღვევი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით.

15 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16 ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17 სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახური
ს/კ: 203840344
მის: ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. #9
ტელ: 577300127.
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა GE24 NB03 3010 0200 1650 22

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ილია ტარასაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შპს „ესაბი“ მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ 37დ
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.# GE30 PC00 5360 0100 0130 98,
სს „პროკრედიტ ბანკი“, კოდი: MIBGGE22,
ს/კ 204378173

დირექტორი: ზურაბ დარსაველიძე

(ხელმოწერა)

დანართი #1

ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები	სურათი	განზ	რ-ობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
LENOVO E5180		ცალი	5	1130.00	5650.00
Display 15,6 HD LED Anti-Glare, 1366x768					
CPU: Intel 4405U (2M L2 cache 2.1 GHz)					
Memory:4 GB DDR3 1600 MHz					
HDD: 256GB SSD					
ODD: DVDRW					
3 USB ports					
Warranty 3 years					

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ESABI

ცხრილი N2

სტანდარტული ლეპტოპის ტექნიკური მახასიათებლები

	მოთხოვნები	ტექნიკური მახასიათებლები	ჩვენს მიერ შემოთავაზებული LENOVO E5180
3,1	ლეპტოპის დასახელება (ბრენდი)		LENOVO
3,2	მწარმოებელი ქვეყანა		ჩინეთი
3,3	პროცესორი: (მწარმოებელი, მოდელი)		მწარმოებლი: LENOVO / მოდელი: E5180
ა)	ბირთვების რაოდენობა	2 (ორი) ან მეტი	2 ბირთვი
ბ)	ლიტოგრაფია	არაუმეტეს 14 nm	14 nm
გ)	ნაკადების რაოდენობა	4 (ოთხი) ან მეტი	4
დ)	L3 „ქეში"	2MB ან მეტი	2MB
ე)	ტაქტური სიხშირე	არანაკლებ 2.1 GHz	2,1 GHz
3,4	ოპერატიული მეხსიერება	4 GB, DDR3 1600MHz ან მეტი	4GB DDRIII 1600MHz
3,5	მყარი დისკი	ტიპი: SSD. SATA III ინტერფეისზე, არანაკლებ 240Gb, თანმიმდევრული წაკითხვის სიჩქარე არანაკლებ 350 MB/s, თანმიმდევრული ჩაწერის სიჩქარე არანაკლებ 350 MB/s	256GB SSD
3,6	ოპტიკური დისკების წამკითხავი მოწყობილობა	DVD-ის ჩაწერა/წაკითხვა	DVDRW
3,7	ქსელი	10/100/1000 Ethernet Controller	10/100/1000M
3,8	რადიო ქსელი	802.11 b/g/n, Bluetooth 2.1 ან მეტი	1X1 802.11 B/G/N, Bluetooth 4.0

3,9	ეკრანი	15.6", LED უკანა განათებით, 1366x768 გარჩევადობა ან მეტი	15.6 HD LED Anti-Glare, 1366x768 pixels HD
3,10	გრაფიკული ადაპტერი	ინტეგრირებული	INTERGRATED GFX, No dedicated V-RAM
3,11	ხმის ადაპტერი	ხმამაღლამოლაპარაკე , Stereo headphone/line out, Stereo microphone/line in	Built-in Speakers,2x 1.5W Headphone and Microphone combo jack
3,12	ინტერფეისები	1x VGA, 1x HDMI არანაკლებ 1.4a, 3x USB 2.0 ან მეტი/უკეთესი, 1x RJ-45, 1xკვების ბუდე	1xRJ45, 1x VGA, 1x Card reader, 1xHDMI, 3 USB ports:2x USB 3.0 and 1x USB 2.0 , კვების ბუდე
3,13	Card Reader	არაა სავალდებულო	1x Card reader
3,14	ვებ კამერა	HD 720p ან მეტი	WEB camera HD 720p
3,15	კლავიატურა	მინიმუმ 104 კლავიშიანი	US (english) 104 კლავიშიანი
3,16	ოპერაციული სისტემა	Preinstalled Windows 10 Professional 64 OEM	Preinstalled Windows 10 Professional 64 OEM
3,17	გარანტია		3 წელი
3,18	ერთეულის ფასი		1'130,00 ლარი

სტანდარტული ლეპტოპების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, მისი პირველი მოთხოვნიდან (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 45 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

სტანდარტულ ლეპტოპებზე ვრცელდება 3 (სამი) წლიანი საგარანტიო მომსახურება, რომლის მიხედვითაც, მისი დაზიანების შემთხვევაში 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შეკეთდება ან შეიცვლება ახლით.

ხელმოწერა: _____ ს.დარსაველიძე (დირექტორი)

23,12,2015